ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №91036

ნომერი: AR126650

თარიღი : 29.02.2012

გაცემის თარიღი : 22.03.2012

გაცნობის თარიღი : 22.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 7 , მეიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:
- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის #01/3958 ბრძანებასა და #ნ/4129–1 სანებართვო მოწმობაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 29 თებერვალს №AR126650 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქ. გიორგი კვიწინაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის #01/3958 ბრძანებასა და #ნ/4129–1 სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანა მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს #01/3958 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. #7–ის მიმდებარედ, მოქ. გრიშა ნამოევის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საზოგადოებრივი კვების ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/4129–1).

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მესაკუთრე დღევანდელი მდგომარეობით არის შპს ,,რესტორანი იმპერია", რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერით (საკადასტრო კოდი: 01.13.02.008.061, მომზადების თარიღი: 02.02.2012, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882012035468), ხოლო შპს ,,რესტორანი იმპერიას" ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენს მოქ. გრიშა ნამოევი, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის N425553, განაცხადის რეგისტრაციის NB12004692, მომზადების თარიღი: 13.01.2012) სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლისათვის დაედგინა ვადა დამატებითი დოკუმენტაციის, კერძოდ დამკვეთის – გ. ნამოევის თანხმობის/მინდობილობის წარმოდგენის მიზნით. აღნიშნულის განხორციელებისათვის სამსახურმა 2012 წლის 14 მარტს გამოსცა #77130 ბრძანება და განმცხადებელს განესაზღვრა 5 დღიანი ვადა ზემოთმითითებული დოკუმენტის წარმოდგენისათვის.

სამსახურს 2012 წლის 14 მარტს იგივე განაცხადის ნომრით ხელახლა მომართა მოქ. გ. კვიწინაშვილმა და წარმოადგინა შპს ,,რესტორანი იმპერიას“ დირექტორის გ. ნამოევის მინდობილობა გ. კვიწინაშვილზე საპროექტო დოკუმენტაციის წარმართვის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით. ამავე დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია, რომ შპს ,,რესტორანი იმპერიას“ დამფუძნებელი გ. ნამოევი ადასტურებს, რომ გ. ნამოევზე გაცემული მშენებლობის ნებართვა გაიცეს შპს ,,რესტორანი იმპერიას“ სახელზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს მოქ. გიორგი კვიწინაშვილის 2012 წლის 29 თებერვლის №AR126650 განცხადება;

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის #01/3958 ბრძანებასა და #ნ/4129–1 სანებართვო მოწმობაში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ: დამკვეთად და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მითითებულ იქნეს შპს ,,რესტორანი იმპერია".

3. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის #01/3958 ბრძანებასა და #ნ/4129–1 სანებართვო მოწმობას დაემატოს: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 01.13.02.008.061, მომზადების თარიღი: 02.02.2012, განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882012035468) 2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის N425553, განაცხადის რეგისტრაციის NB12004692, მომზადების თარიღი: 13.01.2012); 3. შპს ,,რესტორანი იმპერიას“ დირექტორის გ. ნამოევის მინდობილობა.

4. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 29 დეკემბრის #01/3958 ბრძანებასა და #ნ/4129–1 სანებართვო მოწმობასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი

ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.